გაზეთი „გაზეთი“ დეკემბერი 2006 – N2

გიორგი ლორია

ცოტა რამ ახალ მხატვრობაზე საქართველოში

მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ქართული მხატვრობა, როგორც ფენომენი, ფაქტიურად აღარ არსებობს. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ ამუშავდა აზრის ხატოვანი გამოსახვა საქართველოში, თუმცა მას, როგორც ფენომენს, ქართულს ვეღარ ვუწოდებთ. რაც სრულიად ნორმალურ მოვლენათა მწკრივში ჯდება. ამ დროიდან მსოფლიოს აღარცერთ ქვეყანაში არ რჩება ხელოვნება ფენომენალურად ნაციონალური ხასიათის მატარებელი. მაგ.: კუბიზმი მონათლულია ფრანგულ მოვლენად, მაგრამ ფაქტია, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ფაქტი საფრანგეთში მოხდა, როგორც ზოგადად ევროპის და ევროპული კულტურული საფუძვლების თავმოყრის გეოგრაფიულ ცენტრში. ასევე შეიძლება ითქვას მხატვრობისა და ზოგადად ხელოვნების სხვა მიმდინარეობებზეც. აგრეთვე ინდივიდუალურად სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე ხელოვანებიც, ინფორმაციის დიდი შემოტევის წყალობით, თავს უყრიან მთელ მსოფლიოში დაგროვილ კულტურულ წინაპირობებს და, ფაქტობრივად, თავის შემოქმედებაში გამოხატავენ ადამიანის, როგორც მსოფლიო მოქალაქის პოზიციას.
ახლა დავბრუნდეთ ისევ საქართველოში, ჩვენს გეოგრაფიულ სამშობლოში. აქ, შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის მოკვდინებით დიდი წერტილი დაესვა ეროვნული ხასიათის კულტურის შემდგომ განვითარებას. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო დიდი ტრაგედია, და არა მარტო საქართველოსათვის, რადგანაც, გარკვეული აზრით, კულტურაში არ იყო სრულიად გამოვლენილი ფენომენი ეროვნულისა და საკმაოდ მომძალვრებული მსოფლიო კულტურასთნ შესარწყმელად, იმგვარად, რომ შესაძელბელი ყოფილიყო ეროვნულისათვის დამახაისათებელი ძვირფასი სულიერი იმპულსის შენარჩუნება მყარად. თუმცა, აქა–იქ გვაქვს ამ იმპულსის შემდგომი გამოვლენის მაგალითები, განსაკუთრებით ლიტერატურაში, უფრო მცირედ მხატვრობასა და მუსიკაში. ახლა ამ ყვეალფერს ემორე მხრიდან რომ შევხედოთ, შეიძლება ეს მოვლენა (ეროვნულის მოკვდინება) ბედისწერად ჩავთვალოდ. რადგანაც, როცა ევროპა უკვე ამერიკულ გავლენას განიცდიდა და თავისებურად აფორმირებდა, საქართველოში, ცოტა ნელი ტემპით, მაშინღა იწყებდა შემოსვლას ევროპის გავლენა. ცოტანი იყვნენ ისეთი მხატვრები, რომლებიც ახერხებდნენ ევროპული და ქართული ეროვნული მხატვრული ფორმა ისე შეეთვისებინათ, რომ მათ ერთმნანეთი არ დაეთრგუნათ. ამ ბეწვის ხიდზე გაუვლელად გადახტომისას უფსკრულში ჩავარდნის დიდი საშიშროება ჩნდებოდა.
უნდა ვაღიაროთ, რომ ხელოვნება საქართველოში კი არ მომკვდარა, თურმე უბრალოდ მკვეთრად შემობრუნდა ინტუიტურიდან (როცა ადამიანი ღმერთს მინდობილი იყო) ინტელექტუალურისაკენ (რაც პირდაპირ კავშირშია ლოგოსთან). ამ შემობრუნებით ხელოვანი აღმოჩნდა ზეაწეული – ლოგოსის სფეროში, მხოლოდ ყოველგვარი მომზადებისა და ანგელოზების წინამძღოლობის გარეშე. მოვლენის ასეთმა განვითარებამ მოგვცა სწრაფი გამოვლინება ქართული გენის კოსმოსურ წესრიგთან ახლობლობისა. დაიბადნენ მთელი რიგი ნიჭიერი შემოქმედები, კერძოდ მხატვრები: შალვა ქიქოძე, დავით კაკაბაძე, ირაკლი გამრეკელი, შალვა ბილანიშვილი, იაკობ ნიკოლაძე და კიდევ ბევრი სხვა. აქ თაამმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუმცა საერთაშორისო ასპარეზზე არა საკმარისად პოპულარიზებული და აღიარებული, მაგრამ ჭეშმარიტად ღირებული თაობა იყო, როგორც მხატვრობაში, ასევე ხელოვნების სხვა დარგებშიც. მაგრამ სწორედ ამის შემდეგ იჩინა თავი იმ მკვეთრი შემობრუნებისას წარმოქმნილმა დეფიციტმა, მშვენიერ–ინტუიტურისა და კოსმიურ ინტელექტუალურს შორის, რასაც ქვია ადამიანური აზრიდან ფორმის წარმოქმნის შეუსწავლელობა.
ახლა მცირე რამ, ნამდვიალდ გონიერი ადამიანების ჯგუფმა დაიწყო ზრუნვა ადამიანური აზრობრივი ფორმის შექმნაზე. თუმცა უნდა ვაღაიროთ, რომ ეს მცდელობა ლიტერატურაში უფრო წარმატებული აღმოჩნდა, მაგ.:გურამ დოჩანაშვილი, ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე. ამ თაობაში მხატვრებიდან მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჯობსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ედმონდ კალანდაძე. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ იყო კიდევ ბევრი შემოქმედი,

რომლებიც ნაკლებად სახელგანთქმულნი, მაგრამ არანაკლებად ღირსეულბნი იყვნენ. და კვლავ უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ენერგიის ხარჯვისა, საქართველოში ადამიანური, აზრითი ფორმის ქმნა და მისი მშვინვიერ–ინტუიტურის და კოსმიურ–ინტელექტუალურთან დაკავშირება ჯერ კიდევ დიდ ძალებს საჭიროებს.

ოთხმოციანი წლებიდან გვაქვს რევოლუციური მცდელობები ხელოვნების გარედან (არაბუნებრივი წესით) დადგენილი საზღვრების მოშლისა. თუმცა სწორედ ადამიანური აზრითი ფორმების უკმარისობის გამო, ამ ცდებს, უნდ ავაღიაროთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურ ანარქაიმდე მივყავართ.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან საქართველოში დაიწყო მიზიდულობის ზრდა დასავლურ–ამერიკული კულტურისაკენ. ახალი აღმოჩენა იყო თანამედროვე და უფრო არეული მხატვრების ის ჟურნალები და კატალოგები, რომლებიც აქამდე აქაური ადამიანის თავლისათვის მიუწვდომელი იყო, თუ ის არ იყო სამთავრობო ნომენკლატურის კაცი. მოკლედ, ამ დროს დაიწყო შემოჭრა და შემოტევა როგორც გენიალუმა, ისე არც თუ ისე გენიალურმა ხელოვნებამ, რამაც აზრობრივი მიმართებით ვაკუუმში მჯდომი ადამიანების უმეტესი ნაწილი, უბრალოდ შოკში ჩააგდო. გაჩნდა დაპირისპირებული მხარეები: ერთის მხრივ, ფორმალური სოც–რეალიზმის ერთგული მიმდევრები, მეორეს მხრივ, უმცირესობაში დარჩენილი, როგორც ახლის მაძიებელი გონებითა და სულით განმსჭვალული, ასევე ავანტიურისტი ხელოვანები. საერთოდ აღმოჩენად იქცა, რომ ესთეტიკამ ხელოვნებაში ადგილი დაუთმო ავანტიურას. ამას, რა თქმა უნდა, ჰქონდა დადებითი მხარეც. მანამდე საზღვრებში ჩაკეტილი ხელოვანი მიხვდა, რომ ეს საზღვარი მისი არ იყო და დაიწყო საკუთარი საზღვრის ძიება.

ნიშანდობლივია, რომ საბჭოურ პერიოდში აღიარებული და მიღებული იყო იმპრესიონიზმი, ნაწილობრივ კუბიზმი და სიურეალიზმიც კი, მაგრამ კარგად იყო ჩაკეტილი ერთის მხრივ იდეალისტური რომანტიზმი და მოერე მხრივ კონცეპტუალური, ტრანსცენდენტული ხელოვნება ანუ ხელოვენბა საგანს მიღმა, მოკლედ ყოველგვარი არაფორმალური აზრის მატარებელი ხელოვნება, რაც სწორედ შემობრუნებით ფორმალიზმად იწოდებოდა. საინტერესოა, რომ ისეთი სულისკვეთებით აღზრდამ ღრმა კვალი დაატყო ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას. თვით იმ ხალხის დიდი ნაწილი, ვინც ახალ დინებას მიჰყვა, ფორმალურში დაცურავს დღესაც და მხოლოდ ზედაპირზე ტივტივებს – ჩაუყვინთავად (თუმცა ეს მარტო ჩვენთან არ ხდება).

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1978 წელს, „ცისფერ აგლერეაში“, პირველად ოფიციალურ გამოფენაზე, გამოჩნდა, თუ როგორ შეიძლება კაცმა დაარღვიოს სხვათა მიერ დაკანონებული საზღვარი და შექმნას თავისი საკუთარი შეუზღუდავი სივრცე. ეს იყო სურათის „წითელი ოთახი“ ავტორი ირაკლი ფარჯიანი. შესაძლოა ამდროს კიდევ ბევრი რამ იყო საინტერესო, მაგრამ ჭეშმარიტი შედევრი საქართველოში საბჭოთა გამოფენაზე პირვეალდ გამოჩნდა. სწორედ ოთხმოციან წლებში გამოიკვეთა ორი მიმართულება ახალ ხელოვნებაში: ერთი– ეს იყო ტალღა, რომელიც იდეალისტურ რომანტიზმს (ასე ვუწოდებდი) ეფუძნებოდა, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ: ედვარდ მუნკი, გუსტავ კლიმტი, გუსტავ მორო, უფრო ადრეული გერმანელი, ინგლისელი და ფრანგი რომანტიკოსები. ეს იყო მცდელობა – მხატვრობა ქრისტიანული გაგების, სილამაზის სამსახურს დაბრუნებოდა, თუმცა ახლებურად – აზრის პოზიციიდან. ამ ჯგუფის (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ) ბირთვს წარმოადგენენ: გია ბუღაძე, ლევან ჭოღოშვილი, ირაკლი ფარჯიანი. თუმცა „ჯგუფი“ პირობითი სიტყვაა, რაოდენადაც ისინი მკაფიო ინდივიდუალისტები იყვნენ.

მეორე ჯგუფი, რომელიც ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა, ორიენტირებული იყო კონცეპტუალიზმზე, ძენისა და ზოგადად ინდურ–ჩინურ რელიგიურ–ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე. ისინი ცდილობდნენ ამ მოძღვრების პრინციპების ტრანსფორმირებას თანამედროვე ხელოვენბაში, ხატოვნების ცნობადი პრინციპებსი დარღვევითა და გარშემო მოცემული ფარდოვანი და საგნობრივი საშუალებების გამოენებით. ეს მეტად რთული ამოცანა იყო. ჯგუფს წამართავდა თავისი კონცეპტუალური დამოკიდფებულებეის წყალობით დისიდენტად ქცეული უფროსი მხავარი შურა ბანძელაძე. შემადგენლობა: გია ეძგვერაძე, გელა ზაუტშივილი, ილია ზაუტაშვილი, ლუკა ლასაერეიშვილი. თუმცა აქაც უნდა ითქვას, რომ ახლა, თიტოეული მათგანი ინდივიგუალურ გზას ადგას მხატვრობაში.

პარალელურად შევეცდები გაიხსენო რამდენიმე კაცი, რომლებიც მარტო მიიკვლევდენნ გზას ხელოვნებაში და გამოფენებზე მხოლოდ გამომსახველობითი ესთეტიკიდან გამომდინარე

ერთიანდებოდნენ. ესენი არიან: ზაზა ბერძენიშვილი, იური ბერიშვილი, ლევან ლაღიძე, ირაკლი სუთიძე, გელა მანჯავიძე, ბესიკ არბოლიშვილი, ნუგზარ მეტრეველი, შალვა მატუაშვილი, მერაბ აბრამიშვილი... თუმცა უნდა ვთქვა რომ ეს სია სრული არ არის.

1984 წელს ჩამოყალიბდა ახალი ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ფორმალური არეულობის ფონზე და ემსახურებოდა ძველი ღირებულებების შენარჩუნებას და მთავარი სათქმელის ახლებურად, აზრით–ხატოვნად და ისე მოწოდებას. ხელოვნებათმცოდნისა და მხატვრის, კარლო კაჭარავას სახელდებით ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის გმირის პატივსაცემად დაერქვა „არქივარიუსი“ (სიტყვა–სიტყვით ძველი ღირებულებების დამცველი). აქაც, როგორც პირველი სამეულის შემთხვევაში, გაერთიანებას ნაკლები ფორმალისტური საფუძველი გააჩნდა. წამყვანი ძალა რაინდული, ქრისტინული მსოფლხედვა იყო. ჯგუფს შეადგენდნენ: კარლო კაჭარავა, მამუკა ცეცხალძე, გოგა მაღლაკელიძე, გია ლორია. პირველი გამოფენა 1984 წელს გია ლორიას სახლში მოეწყო. აქ წარმოდგენილი იყო ჯგუფის მანიფესტიც. შემდეგ 1985 წლიდან ჯგუფს მეგობრები გაუჩდა და დაიწყო არაფორმალური გამოფენების სერია: თბილისის მუზეუმში „ქარვასლა“, თეალვის მუსიკალურ ფერტიოვალებზე, მხატვრის სახლში. ამ გამოფენების ორგანიზება იკისრეს გია ბუღაძემ და გია გოგლიძემ. ჯგუფმა იწყო ზრდა. შეუერთდენ: მამუკა ჯაფარიძე, ოლეგ ტიმჩენკო, გია ბუღაძე, ლევან ჭოღოშვილი, გია გოგლიძე. 1986 წელს მამუკა ჯაფარიძის სახლში მოწყობილ გამოფენაზე მათ ირაკლი ფარჯიანიც შეუერთდა.

1986 წლიდან როცა მამუკა ცეცხალძეს დიპლომის შესასრულებლად მისცეს აკადემიის მეათე სართულზე ერთი ოთახი, აქ, ღია აივანზე, აღმოჩნდა საკმაო ფართი და მთელი ჯგუფი კიდევ შემატებული ახალი წევრებიანად აქ მუშაობდა მორიგეობით. შეემატნენ: თემურ იაკობიშვილი, მაია ცეცხლაძე, ნიკო ცეცხლაძე. ჯგუფმა მიიღო სახელი „მეათე სართული“.

1987–88 წლებში მამუკა ცეცხლაძე მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შემსრულებელ მხატვრად. უზარმაზარამ სახელოსნომ და მამუკას ბუნებამ განაპირობა ძველი მეგობრების და კიდევ ახალი მოწინავეების აქეთ გადმობარგება. შეემატნენ: კოკა რამიშვილი, გია დოლიძე, ლია შველიძე და სხვები. თუმცა აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ამხელა ჯგუფში შეუძელბელი გახდა ლევან ჭოღოშვილისეული „მეფეთა პორტრეტების“ სულისკვეთების შენარჩუნება და ჯგუფმა იწყო ფეთქება სხვადასხვა პოპულისტური საფეთქებლებით .

ამის პარალელურად, პირველადი ჯგუფი არქივარიუსი მაინც რჩებოდა საერთო იდეით შეკრული და ქმედითი. ამ წლებში ბევრი მნიშვნელოვანი გამოფენა გაკეთდა. საქართველოში მხატვრობამ მოიცილა საზღვარი, თუმცა საკუთარი ახალი ჯერ არ შეუქმნია.

1990 წელს ქ.ლენინგრადში „რუსულ მუზეუმში“ (ეს მუზეუმი მსოფლიოს მნიშვნელოვან მუზეუმთა რიგშია), გაკეთდა საკმაოდ საყურადღებო გამოფენა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ განაცხადად ახალი ქართული მხატვრობის მსოფლიო მდინარებაში ინტეგრირებისათვის. თუმცა ამ და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო და მნიშვნელოვან აქციას საქართველოში თითქმის არავითარი გამოხმაურება და გაანალიზების მცდელობა არ მოჰყოლია. ჰოდა მე ვფიქრობ, სწორედ ასეთი ინერტულობისა და ინდიფერენტულობის წყალობით ღიად რჩება საკითხი საქართევლოში აზრის მხატვრულ ფორმად ქცევისა.